ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა 68-ე სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზების წესი

- სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის კოორდინირებით, სტუდენტთა 68-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციას ორგანიზებას უკეთებს თსუ სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება.
- სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია ტარდება უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე.
- ფაკულტეტის დეკანი ქმნის საკონფერენციო ჟიურის შემადგენლობას და უზრუნველყოფს კონფერენციის ჩატარებას სათანადო სექციების მიხედვით.
- ფაკულტეტის დეკანატი სამეცნიერო კონფერენციის საფაკულტეტო სამუშაო პროგრამას წარადგენს თსუ სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებაში 2008 წლის 8 დეკემბრამდე.
- სამეცნიერო ნაშრომის მოცულობა: 4-5 გვერდი, A4 ფორმატი, Microsoft Word, შრიფტი - ლიტ. ნუსხური, შრიფტის ზომა - 11.
- კონფერენციის საფაკულტეტო სამუშაო პროგრამა წარმოდგენილი უნდა იქნეს ელექტრონული ვერსიით და შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
  ა) ფაკულტეტის დასახელება;
  ბ) სექციების დასახელება;
  გ) თითოეული სექციის ჟიურის შემადგენლობა წევრების აკადემიური თანამდებობის მითითებით;
  დ) კონფერენციის სამუშაო გეგმა (თარიღი, მუშაობის დაწყება-დამთავრების დრო, კორპუსი, აუდიტორია);
  ე) მომხსენებლის გვარი და სახელი სრულად, კურსი;
  ვ) მოხსენების სრული დასახელება;
  ზ) სტუდენტის მეცნიერ-ხელმძღვანელის გვარი და სახელი სრულად, აკადემიური თანამდებობა ან სამეცნიერო ხარისხი.
- სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის უფლება აქვთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებს.
- საუნივერსიტეტო კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად დაიშვება სტუდენტი, რომლის საკონფერენციო ნაშრომს აქვს სტუდენტის მეცნიერ-ხელმძღვანელის დადებითი რეცენზია.
- ფაკულტეტის საკონფერენციო ჟიური შეიმუშავებს სამეცნიერო მოხსენების შეფასების კრიტერიუმებს ქულობრივი მაჩვენებლებით, რომელიც კონფერენციის დაწყებამდე ეცნობება მონაწილეებს.
- სამეცნიერო კონფერენციაზე სტუდენტის გამოსვლას აფასებს ჟიურის თითოეული წევრი სათანადო უწყისში კრიტერიუმების მიხედვით.
- კონფერენციის დასრულებისას ჟიური აცხადებს შედეგებს და გამარჯვებულებს.
- კონფერენციაში გამარჯვებულ მონაწილეთა დაჯილდოვება მოხდება თსუ-ის მიერ დაწესებული სიგელებით თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და დაკავებული I, II, III ადგილების შესაბამისად.
- კონფერენციაში გამარჯვებულ მონაწილეთა სამეცნიერო ნაშრომები დაიბეჭდება სტუდენტთა შრომების კრებულში.